

ქ. თბილისი

„7“ მაისი 2018 წ.

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, არჩილ ფრანგიშვილის მიერ, (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ შპს „ინ-სი“ წარმოდგენილი დირექტორის ზვიად თოიძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი“), ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას შემდეგი მომსახურების გაწევაზე:

- ა) სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს შემკვეთის მიერ პრაქტიკაზე მაგისტრატურის პროგრამა „მშენებლობა“ საგანმანათლებლო პროგრამით გაგზავნილი არაუმეტეს 15 სტუდენტი და ბაკალავრიატის რუსულენოვანი პროგრამა „строительство“ საგანმანათლებლო პროგრამით გაგზავნილი არაუმეტეს 15 სტუდენტი ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში.
- ბ) შემსრულებელი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის“ პრაქტიკანტებს დაუნიშნავს მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე გატარებას შემკვეთის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად;
- გ) შემსრულებელი ბაკალავრიატის რუსულენოვანი პროგრამა „строительство“ საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკანტებს დაუნიშნავს რუსულენოვან მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე გატარებას შემკვეთის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად;
- დ) პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. შემსრულებელი:

2.1.1. უწევს ამ ხელშეკრულების 3.1.-ით გათვალისწინებულ მომსახურებას შემსრულებლის ადგილსამყოფელის მიხედვით: ქ. თბილისი, მ. კოსტავას 72-ა;

2.1.2. შესრულებული ვალდებულება უზრუნველყოს შემკვეთთან შეთანხმებული პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულება;

2.2. შემკვეთი:

2.2.1. შესრულებულს მიაწოდოს პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების სია და პრაქტიკის სილაბუსი.

3. მომსახურების ანაზღაურების წესი

3.1. ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება პრაქტიკა წარიმართება ანაზღაურების გარეშე წლიური მოცულობით არანაკლებ 45 სთ. სემესტრში, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა


4.1. შესრულებული იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო შეასრულოს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.

4.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხემოწერისთანავე და მოქმედებს 2027 წლის სექტემბრამდე.

5. სხვა პირობები

- 5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.
- 5.2. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 5.3. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში – მიმართავენ სასამართლოს.
- 5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი:	შემკვეთი:
<p>შპს „ინ-სი“ კოსტავას 72-ა</p> <p>ხელმოწერა: ზ. თაბიძე</p> 	<p>სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი</p> <p>კოსტავას ქ. 77, ს/კ 211349192</p> <p>ხელმოწერა: ა. ფრანგიშვილი</p> 